



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

"ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ "

საერთო დანიშნულების
სახელმწიფო მომსახურების სფეროს
აუდიტის დეპარტამენტის უფროსი

ფრიდონ ზენგელია

23. 01. 2017 წელი

ეგზ. N1

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო
სამართლის იურიდიული პირის - შემოსავლების სამსახურის შესაბამისობის
აუდიტის ანგარიში N3/36

2014 წლის 1 იანვარი - 2015 წლის 31 დეკემბერი

სარჩევი

გამოყენებული შემოკლებანი.....	3
შემაჯამებელი მიმოხილვა.....	3
შესაბამისობასთან დაკავშირებით გამოვლენილი გარემოებები.....	8
საბიუჯეტო ასიგნებების დაგეგმვა და შესრულება.....	8
შრომის ანაზღაურება.....	8
სახელმწიფო შესყიდვები.....	10
გამოყენებული აქტივები	26
ავტოტრანსპორტი.....	27
ძირითადი საშუალებების აღრიცხვა.....	28
დაუმთავრებელი მშენებლობა.....	30
ქვეყნის გარეთ მივლინება	30

გამოყენებული შემოკლებანი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - შემოსავლების სამსახური - შემოსავლების სამსახური;

სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო - ექსპერტიზის ეროვნული ბიურო;

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - ფინანსთა სამინისტრო;

საბაჟო გამშვები პუნქტი - სგპ;

გაფორმების ეკონომიკური ზონა - გეზ.

შემაჯამებელი მიმოხილვა

- სახელფასო დანამატების გაცემისას ვერ იქნა წარმოდგენილი შესაბამისი საფუძვლები;
- პრემიების გაცემისას, ექვს შემთხვევაში¹ ზღვრული ოდენობის ზევით პრემიების გაცემა განხორციელებულია დაწესებულების ხელმძღვანელი თანამდებობის პირის მოტივირებული შუამდგომლობის გარეშე;
- ნინოწმინდის ტერიტორიაზე საბაჟო გამშვები პუნქტის მშენებლობაზე გახარჯულია 9,857.5 ათასი ლარი. აღნიშნული სამუშაოების არასწორი დაგეგმვითა და უხარისხოდ შესრულების შედეგად, მისი ექსპლუატაციაში მიღების და შემდგომი ფუნქციონირებისათვის დამატებით გასაწევი ხარჯების ოდენობის შესახებ მტკიცებულებები წარმოდგენილი ვერ იქნა. უხარისხოდ შესრულებული სამუშაოების მიღებისა და ანაზღაურების შედეგად მიყენებული ზარალის და არაეკონომიურად გახარჯული საბიუჯეტო თანხების სრულად დათვლა შესაძლებელი იქნება აღნიშნულ ობიექტზე შემდგომ ეტაპებზე დამატებით შესრულებული სამუშაოებისა და გადახდილი თანხების შესაბამისად. დღეის მდგომარეობით სახურავის მეორედ შეკეთებისა და გამაგრების პროექტის შედგენაზე დამატებით გახარჯულია 333.7 ათასი ლარი.
- ლაგოდეხის საბაჟო გამშვები პუნქტის სამშენებლო სამუშაოების თავისდროულად შეუსრულებლობა და კონსერვაციის პროცესით გაწერილი პირობების გაუთვალისწინებლობა წარმოშობს საბიუჯეტო თანხების არარაციონალურად გახარჯვის რისკს, ხოლო დღეის მდგომარეობით მშენებლობისათვის გახარჯული 1,491.0 ათასი ლარის ხარჯი წარმოადგენს არაეფექტურ ხარჯს.

¹ პრემიების ბრძანებები N6933 06.03.2015; N17716 22.05.2015; N33572 04.09.2015; N50025 25.12.2015; N35103 25.07.2014; N38306 27.08.2014

- სგპ „სარფი“-ს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებზე საგარანტიო ვადის განმავლობაში წარმოქმნილი დაზიანებების აღმოფხვრა და შესაბამისი სამუშაოების ჩატარება ევალუბოდა გარანტიის გამცემ კომპანიას. საბაჟო გამშვები პუნქტის ადმინისტრაციული შენობის სახურავის მოწყობაზე, კედლების და ჭერის დაზიანებული ნაწილების აღდგენაზე სხვადასხვა კომპანიების მიერ გარანტიის პერიოდში შესრულებულია და შესაბამისად შემოსავლების სამსახურის მიერ დამატებით ანაზღაურებულია სულ 692.2 ათასი ლარის სამუშაოები.
- სატენდერო დოკუმენტაციაში წინასწარი ანგარიშსწორების საკითხის გათვალისწინების გარეშე, ხელშეკრულებებში ცვლილებების შეტანის გზით, საავანსო თანხების გაცემით არაკონკურენტული გარემო შეიქმნა იმ პოტენციური პრეტენდენტებისათვის, რომლებსაც ტენდერის გამოცხადების ეტაპზე არ ჰქონდათ შესაძლებლობა სცოდნოდათ საავანსო ანგარიშსწორების არსებობისა და რაოდენობის შესახებ.
- შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტში და სგპ „ყაზბეგი“-ში გათბობა-ვენტილაცია-კონდიციონერების დამონტაჟების მიზნით შესასყიდი ჩილერების სავარაუდო ღირებულების სწორად განსაზღვრის შემთხვევაში შესაძლებელი იქნებოდა შესაბამისად 45,6 ათასი ლარის და 32.0 ათასი ლარის ეკონომიის მიღწევა.
- საბაჟო-გამშვები პუნქტების მშენებლობაზე სხვადასხვა სახის სამშენებლო სამუშაოების CPV-კოდის ქვეშ შესყიდულია სხვა კლასიფიკაციის მქონე ძალოვანი დანადგარები, გათბობისა და ვიდეოსამეთვალყურეო სისტემები. აღნიშნული აქტივები ბუღალტრულად მიკუთვნებულია და აღრიცხულია ბალანსის შენობა-ნაგებობების მუხლში და ცვეთის სახით დარიცხულია ღირებულების 1%, მაშინ როცა ისინი თავისი ფუნქციური დანიშნულებისა და მომსახურების ვადებიდან გამომდინარე არ წარმოადგენენ შენობა-ნაგებობების განუყოფელ ნაწილს, ექვემდებარებიან ბალანსის „მანქანა-დანადგარებისა და ინვენტარის“ მუხლში აღრიცხვას და ცვეთის დარიცხვის განსხვავებული ნორმების გამოყენებას.

შესავალი

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შემოსავლების სამსახურის 2014-2015 წლების შესაბამისობის აუდიტი.

სამსახურის ზოგადი აღწერილობა

შემოსავლების სამსახური არის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც შექმნილია „შემოსავლების სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე. სამსახური თავისი კომპეტენციის ფარგლებში:

- ახორციელებს გადასახადების/გადასახდელების, აგრეთვე შესაბამისი მოსაკრებლების ადმინისტრირებას;
- ახორციელებს საგადასახადო კონტროლს, საბაჟო კონტროლს და საბაჟო ზედამხედველობას, სახელმწიფო ფიტოსანიტარიულ სასაზღვრო-საკარანტინო, სახელმწიფო ვეტერინარულ სასაზღვრო-საკარანტინო, სანიტარიულ-საკარანტინო კონტროლს, არასატარიფო ღონისძიებებს;
- უზრუნველყოფს საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთისას სამგზავრო დოკუმენტებში შესაბამისი აღნიშვნების განხორციელებას;
- იღებს წინასწარ გადაწყვეტილებას დეკლარირებას დაქვემდებარებული საქონლის მიმართ საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის შესაბამისად სასაქონლო კოდის ან წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის თაობაზე;
- საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გასატან საქონელზე გასცემს საქონლის წარმოშობის სერტიფიკატებს და ა.შ.

სამსახურის დაფინანსების ძირითად წყაროს წარმოადგენს საკუთარი შემოსავლები, სამსახური ფინანსდება ასევე სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით. სამსახური მოქმედი კანონმდებლობის წარადგენს ფინანსურ ანგარიშგებას.

აუდიტის ობიექტის პასუხისმგებლობა

შემოსავლების სამსახური პასუხისმგებელია განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობით და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე. ასევე პასუხისმგებელია სახელმწიფო აუდიტის

სამსახურისთვის აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე მიწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე.

პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმდაგვარი წარმართვისათვის, რომ გამოირიცხოს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეული არსებითი კანონშეუსაბამობები.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია, აუდიტის ანგარიშში ასახული გარემოებების სისწორესა და მიზანშეწონილობაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (ISSAI 4100), რომელიც მოიცავს შესაბამისობის აუდიტის ჩატარებას, განცალკევებით ფინანსური ანგარიშგების აუდიტისაგან.

აღნიშნული სტანდარტით მოითხოვება აუდიტორის სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და ითვალისწინებს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მოპოვებულ იქნეს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ შემოსავლების სამსახურის 2014-2015 წლების საქმიანობა არ შეიცავს მოქმედ საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან არსებით შეუსაბამობის ფაქტებს.

აუდიტორული პროცედურები წარიმართა აუდიტორის პროფესიულ მსჯელობებზე დაყრდნობით, რაც მოიცავს პროცედურების ჩატარებას იმ შეფასებულ მნიშვნელოვან კანონშეუსაბამობების რისკებზე, რომელიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით.

აუდიტის საგანი

აუდიტის საგნად განისაზღვრა: შესყიდვები, შრომის ანაზღაურების ხარჯები, მივლინების ხარჯები, წარმომადგენლობითი ხარჯები, ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციისა და შენახვის ხარჯები, სხვა ადმინისტრაციული და საოპერაციო ხარჯები.

აუდიტის კრიტერიუმები:

აუდიტის ძირითად კრიტერიუმებად განისაზღვრა შემდეგი საკანონმდებლო და მარეგულირებელი ნორმები:

- „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი;

- „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანება;
- „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის N55 დადგენილება;
- „დაქირავებულისათვის გადახდილი სამივლინებო ხარჯების ნორმების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 5 აპრილის N220 ბრძანება;
- „მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 20 აპრილის N231 ბრძანებულება;
- „საჯარო დაწესებულებებში პრემიის ოდენობის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 ივლისის N449 დადგენილება;
- „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს N672 ბრძანება;
- „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანება.

აუდიტის მიზანი და მასშტაბი

შემოსავლების სამსახურის 2014-2015 წლებში გაწეული საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის მიზნებია:

- ა) დასკვნის ჩამოყალიბება საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვების გზით, იმის შესახებ თუ რამდენად შესაბამისობაშია აუდიტის საგანთან დაკავშირებული ინფორმაცია სათანადო კრიტერიუმთან, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით;
- ბ) აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებისათვის, აუდიტის მასშტაბიდან გამომდინარე, ინფორმაციის მიწოდება მიგნებების, დასკვნების და სადაც შესაფერისია - რეკომენდაციების შესახებ.

შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის ფორმა

შესაბამისობის აუდიტის ანგარიში შედგენილია უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის (ISSAI 4100) მოთხოვნების მიხედვით - „ანგარიში ვრცელი ფორმით“. „ანგარიში ვრცელი ფორმით“ გულისხმობს აუდიტის შედეგებისა და გამოვლენილი გარემოებების უფრო დეტალურ განხილვას, რაც ეხმარება აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებს საკითხების ყოველმხრივ გაგებასა და მასზე დაყრდნობით ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებაში.

გამოვლენილი გარემოებები

საბიუჯეტო ასიგნებების დაგეგმვა და შესრულება

2014-2015 წლების შემოსავლების სამსახურის დამტკიცებული, დაზუსტებული ბიუჯეტის და საკასო ხარჯების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში:

(ათასი ლარი)

დასახელება	დამტკიცებული ბიუჯეტი	დაზუსტებული ბიუჯეტი	საკასო ხარჯები
2014	160,183.8	165,124.4	158,473.9
2015	143,913.0	142,327.0	137,140.5

შრომის ანაზღაურება

2014-2015 წლებში „შრომის ანაზღაურების“ მუხლით გაცემული თანხების შესახებ ინფორმაცია:

დასახელება	2014	%	2015	%	%-ლი შეფარდება (2015/2014)წწ
თანამდებობრივი სარგო	38,290,944	60%	40,999,662	57%	107%
პრემია	20,695,981	33%	18,085,860	25%	87%
დანამატი	4,405,517	7%	13,415,421	18%	305%
სულ	63,392,442		72,500,903		114%

„საჯარო დაწესებულებებში პრემიის ოდენობის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 ივლისის N449 დადგენილების ძალაში შესვლის² შემდგომ ადგილი ჰქონდა პრემიების დანამატებით ნაწილობრივ ჩანაცვლების ფაქტს:

(ათასი ლარი)

დასახელება	იანვარი-აგვისტო	სექტემბერი-დეკემბერი
პრემია	14,884.0	5,812.0
დანამატი	0	4,406.0

ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს N672 ბრძანებით დამტკიცებული საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით დანამატი მოიცავს არასამუშაო საათებში, ღამის ცვლაში, სადღესასწაულო და დასვენების დღეებში მუშაობისათვის განკუთვნილ დამატებით საზღაურს და კანონმდებლობით გათვალისწინებულ ნებისმიერ სხვა დანამატს. შემოსავლების სამსახურის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი დანამატის გაცემის საფუძველები. დანამატის გაცემის შესახებ ბრძანებებში საფუძველად მოყვანილია მხოლოდ მარეგულირებელი ნორმები, კერძოდ კი „შემოსავლების სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნტი³ და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის-შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის N303 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის-შემოსავლების სამსახურის დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „მ“⁴ ქვეპუნქტი.

შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანებების⁵ მიხედვით თანამშრომელთა წახალისების მიზნით გაცემულია პრემიები ზღვრული ოდენობის ზევით. პრემიების გაცემის საფუძველად მითითებულია „საჯარო დაწესებულებებში პრემიის ოდენობის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 ივლისის N449 დადგენილების მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი⁶. აღნიშნული ნორმა კი ითვალისწინებს პრემიების გაცემისას გამონაკლისის დაშვებას, დაწესებულების ხელმძღვანელი თანამდებობის პირის მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე, რომელიც ვერ იქნა წარმოდგენილი.

² დადგენილება ამოქმედდა 2014 წლის 1 ივლისს

³ კ) კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს;

⁴ მ1) უფლებამოსილია სამსახურის თანამშრომელთათვის დაადგინოს დანამატი, რომლის ოდენობას განსაზღვრავს ფინანსთა მინისტრთან შეთანხმებით

⁵ N6933 06.03.2015, N17716 22.05.2015, N33572 04.09.2015 N50025 25.12.2015, N35103 25.07.2014, N38306 27.08.2014

⁶ „ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით დადგენილი წესიდან გამონაკლისის დაშვება შესაძლებელია საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელი თანამდებობის პირის მოტივირებული შუამდგომლობით, ზემდგომი თანამდებობის პირის, ხოლო ასეთის არარსებობის შემთხვევაში (საჯარო სამართლის იურიდიული პირების შემთხვევაში, სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს არარსებობა), საქართველოს პრემიერ-მინისტრის თანხმობის საფუძველზე“

შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება

2014-2015 წლებში შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაზე ინფორმაცია წარმოდგენილია ცხრილში:

(ათასი ლარი)		
დასახელება	2014	2015
შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	2,070.4	2,512.1

2014-2015 წლებში ფაქტობრივად დასაქმებული 326 და 314 შტატგარეშე თანამშრომლიდან მთელი წლის განმავლობაში მუდმივად იყო დასაქმებული შესაბამისად 213 და 216 თანამშრომელი.

სახელმწიფო შესყიდვები

საბაჟო გამშვები პუნქტების მშენებლობა

პორტალ ნინოწმინდას ტერიტორიაზე საბაჟო გამშვები პუნქტის სამშენებლო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენაზე 2012 წლის 25 იანვარს შემოსავლების სამსახურსა და შპს „ბარნაბიშვილი გურგენიძე არქიტექტორებს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების⁷ შესაბამისად შესრულებულია 34.3 ათასი ლარის სამუშაოები. აღნიშნული საბაჟო გამშვები პუნქტის სამშენებლო სამუშაოების შესყიდვაზე^{8,9} შემოსავლების სამსახურის მიერ 2012 წლის მაისის თვეში გამოცხადებულ ტენდერში¹⁰ 9,865.9 ათასი ლარით გამარჯვებულად გამოცხადებულია და 2012 წლის 1 ივნისს ხელშეკრულება¹¹ გაფორმებულია შპს „მონოლითმშენთან“¹².

ნინოწმინდას საბაჟო გამშვები პუნქტის სამშენებლო სამუშაოებზე შედგენილ საპროექტო დოკუმენტაციაზე, ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ 2013 წლის 18 მარტს გაცემული დასკვნის შესაბამისად, დგინდება, რომ პროექტში მოცემული შესასრულებელ სამუშაოთა მოცულობები და სახეები არ შეესაბამება ამავე ობიექტის ხარჯთაღრიცხვაში შეტანილ მოცულობებს და სახეებს. 2013 წლის 21 ივნისს და 2014 წლის 30 ივლისის

⁷ N1/79

⁸ პროექტზე ექსპერტიზის ჩატარების გარეშე

⁹ SPA120008210

¹⁰ სავარაუდო ღირებულება 13,439.0 ათასი ლარი

¹¹ N 1/483

¹² საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო ღირებულება წარმოდგენილი ვერ იქნა

შეთანხმებების შესაბამისად საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით განსაზღვრული სამუშაოების დაზუსტებით სახელშეკრულებო ღირებულებამ შეადგინა 10,288.7 ათასი ლარი. აღნიშნული სამუშაოების შესყიდვაზე გამოცხადებული ტენდერის სამუშაოთა შესრულების წესის¹³ თანახმად შესრულებულ სამუშაოთა მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად, მოქმედი სამშენებლო ნორმების შესაბამისად, შემსრულებელი ვალდებული იყო ჩაეტარებინა თავის ან შემსყიდველის მიერ მოწონებულ ლაბორატორიაში მასალებისა და კონსტრუქციების ხარისხების ყველა საკონტროლო ლაბორატორიული გამოცდები და შემოწმებები მათი გამოყენების ვარგისიანობაზე და შესაბამისად ხელშეკრულების ფარგლებში ანაზღაურებული იქნებოდა იმ სამუშაოების ღირებულება, რომელზეც არსებობდა ხარისხის სერთიფიკატი ან პასპორტი. შპს „მონოლითმშენთან“ გაფორმებული ხელშეკრულების სამუშაოთა შესრულების წესში¹⁴ კი სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული მოთხოვნა გათვალისწინებული არ იქნა.

ხელშეკრულების მე-14 მუხლის შესაბამისად სამუშაოები უნდა დასრულებულიყო ხელშეკრულების ხელმოწერიდან 19 თვეში¹⁵. ფაქტიურად კი 2012-2014 წლებში გაფორმებული 17 ურთიერთშეთანხმების აქტის საფუძველზე სამუშაოების დასრულების ვადად განისაზღვრა 2014 წლის 29 სექტემბერი.

შპს „მონოლითმშენი“-ს მიერ 2012-2014 წლებში შესრულებულია 8,460.1 ათასი ლარის ღირებულების სამუშაოები,¹⁶ შეუსრულებელია 1,828.6 ათასი ლარის ღირებულების სამუშაოები, მათ შორის შენობის მოსაპირკეთებელი, გათბობა-გაგრილების, სავენტილაციო სისტემების, 2 ცალი 1600 კვტ-ნი გენერატორის შესყიდვისა და ჩამდინარე წყლების „ბიოტალის“ ტიპის ბიოლოგიური გამწმენდი დანადგარის დამონტაჟების სამუშაოები. ხელშეკრულებით¹⁷ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო შპს „მონოლითმშენს“ დაკისრებული აქვს პირგასამტეხლოს გადახდა 482.7 ათასი ლარის ოდენობით, საიდანაც 2014 წელს გადახდილია მხოლოდ 11.0 ათასი ლარი¹⁸. შემოსავლების სამსახურის 2015 წლის 22 ივნისის¹⁹ წერილის საფუძველზე კი შეწყვეტილია შპს „მონოლითმშენთან“ გაფორმებული ხელშეკრულების მოქმედება.

¹³ მუხლი 2.6.3

¹⁴ მუხლი 3.3

¹⁵ 2013 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდში.

¹⁶ შემოსავლების სამსახურის მიერ კი ანაზღაურებულია 8,447.1 ათასი ლარი

¹⁷ 3.8 და 11.4.1. პუნქტები

¹⁸ ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიისა და დარიცხული პირგასამტეხლოს თანხებთან დაკავშირებით მიმდინარეობს სასამართლო დავა

¹⁹ N 21-02/63835

აუდიტით დადგინდა, რომ ფაქტიურად სგპ „ნინოწმინდა“-ს სამშენებლო სამუშაოებს აწარმოებდა არა შპს „მონოლითმშენი“, არამედ მისი კონტრაქტორი შპს „ვექტორი“, რომელიც დაფუძნებულია 2012 წლის 18 მაისს ხელშეკრულების გაფორმებამდე 12 დღით ადრე და შესაბამისად სამუშაოების წარმოების არავითარი გამოცდილება არ გააჩნდა.

შემოსავლების სამსახურის სათათბირო საბჭოს 2013 წლის 2 სექტემბრის სხდომის დადგენილების ²⁰ შესაბამისად დგინდება, რომ სამუშაოების შესრულების პროცესში შესასრულებელ სამუშაოთა მოცულობების დაზუსტების დროს გამოიკვეთა გარკვეული ტიპის სამუშაოების მკვეთრი რაოდენობრივი ცვლილებები, რაც ფაქტიურად განპირობებული იყო პროექტირების დროს დაშვებული უზუსტობებით და სამშენებლო ტერიტორიაზე გეოლოგიური კვლევების არჩატარებით. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით საჭირო გახდა 1,188.1 ათასი ლარის სამუშაოებზე დამატებითი ტენდერების გამოცხადება. შესაბამისად, ტენდერები ჩატარებულია და ხელშეკრულებები გაფორმებულია²¹: 2013 წლის 11 დეკემბერს სგპ „ნინოწმინდის“ ტერიტორიაზე 453.0 ათასი ლარის ღირებულების მიწის სამუშაოებზე შპს „პიკ კონსტრაქშენთან“, 2014 წლის 25 მარტს შპს „ბეთა“-სთან კედლების მოწყობაზე 124.4 ათასი ლარის სამუშაოებზე და 2014 წლის 14 აპრილს შპს „ლგ გლასს“-თან შენობის ფასადის მოწყობის 539.9 ათასი ლარის სამუშაოებზე. სულ სამივე ხელშეკრულებით შესრულებულმა და შესაბამისად ანაზღაურებულმა სამუშაოებმა შეადგინა 1,029.4 ათასი ლარი.

2015 წლის 22 აპრილს შემოსავლების სამსახურის ინფრასტრუქტურის განვითარების სამმართველოს თანამშრომლების მიერ სგპ „ნინოწმინდა“-ს მშენებარე ობიექტზე არსებული მდგომარეობის შესწავლით დადგენილია, რომ სახურავის დაზიანების შედეგად შენობაში ჩამოდიოდა წყალი, დაზიანებული იყო თაბაშირმუყაოს ჭერი და კედლები, შენობის კარკასულ ნაწილის მონოლითისა და მეტალის კონსტრუქციის რიგელებს და პერიმეტრზე არსებულ მონოლითურ ფილას აღენიშნებოდა დეფორმაცია. შპს „მონოლითმშენი“-ს მიერ შესრულებული სამუშაოების ხარისხის და პროექტთან შესაბამისობის მიზნით შემოსავლების სამსახურის მოთხოვნის საფუძველზე ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული 2015 წლის 31 მარტის, 27 მაისის და 2016 წლის 22 თებერვლის დასკვნების ²² შესაბამისად დგინდება, რომ შენობის საპროექტო დოკუმენტაცია არასრულყოფილია, სრულად არ ასახავს მშენებლობისათვის საჭირო ყველა დეტალს და ვერ აკმაყოფილებს სამშენებლო ნორმების

²⁰ ოქმი N 16

²¹ N 1/598, N1/201, N 1/234

²² N 001813915N003003915, N000900516.

მოთხოვნებს. არსებული შენობის ტექნიკური მდგომარეობა იყო არადადამაკმაყოფილებელი, კერძოდ: შესრულებული სამუშაოების ხარისხი რამდენიმე ნაწილში არ შეესაბამებოდა პროექტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, გამოყენებული ბეტონის მარკიანობა პროექტით გათვალისწინებული M250 მარკის ნაცვლად გადახურვის ფილაზე და რიგ რიგელებში აღმოჩნდა 50 იდან 150 მარკამდე, რამდენიმე რიგელში სვეტებთან შეიმჩნეოდა ჰორიზონტალური და ვერტიკალური ბზარები, ლითონის კონსტრუქციის კვანძები არ იყო შესრულებული სამშენებლო ნორმების მოთხოვნების მიხედვით, რიგ შემთხვევებში დარღვეული იყო სამშენებლო ნორმების და წესების „სეისმომედეგი მშენებლობით“ დადგენილი მოთხოვნები.

ხელშეკრულების მე-2 და მე-3 მუხლის შესაბამისად მიმწოდებელი ვალდებული იყო: წინასწარ შეეთანხმებინა შემსყიდველთან მშენებლობის პროცესში გამოსაყენებელი მასალების ხარისხი, სამუშაოთა წარმოების ნორმების მიხედვით სისტემატიურად ეწარმოებინა შესრულებულ სამუშაოთა ხარისხის კონტროლი და მიღებული შედეგები შეეტანა ყოველდღიურ ჟურნალში. ყველა გამოყენებული მასალა-მოწყობილობა უნდა ყოფილიყო მაღალი ხარისხის. შესრულებული სამუშაოების მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად, მოქმედი სამშენებლო ნორმების შესაბამისად მიმწოდებელი ვალდებული იყო ჩატარებინა თავის ან შემსყიდველის მიერ მოწონებულ ლაბორატორიაში მასალების და კონსტრუქციების ხარისხის ყველა საკონტროლო ლაბორატორიული გამოცდა-შემოწმებები. ხელშეკრულების მე-5 მუხლის თანახმად კი ყოველი ეტაპის დამთავრებისას მიმწოდებელი ვალდებული იყო დაენიშნა საიჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზა და წარმოედგინა ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული დასკვნა მხოლოდ შესრულებული სამუშაოთა ღირებულებისა და მოცულობების შემოწმების მიზნით. ხელშეკრულებით შესრულებულ სამუშაოთა ხარისხზე დასკვნის წარმოდგენა ექსპერტიზის ეროვნული ბიუროდან გათვალისწინებული არ იყო.

სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით საქართველოს მთვრობის 2015 წლის 3 აგვისტოს N1688 განკარგულების საფუძველზე სგპ „ნინოწმინდა“-ს სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების, კერძოდ კი საბაჟო გამშვები პუნქტის დაზიანებული სახურავის შეკეთებაზე 2015 წლის 30 სექტემბერს შემოსავლების სამსახურსა და შპს „ორნამენტს“ შორის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით გაფორმებული ხელშეკრულების²³ შესაბამისად

²³ N1/419 სახელმწიფოებრივი ღირებულება 269.2 ათასი ლარი.

შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ, დამატებით შესასრულებელი სამუშაოების გათვალისწინებით, შეადგინა 254.9 ათასი ლარი. განკარგულების გამოცემიდან 58 კალენდარული დღის შემდეგ ხელშეკრულების გაფორმება კი ეწინააღმდეგება შეზღუდულ ვადებში სამუშაოების შეუფერხებლად ჩატარების მიზნებს. შპს „მონოლითმშენთან“ გაფორმებული ხელშეკრულებით ²⁴ კი სგპ „ნინოწმინდა“-ს სახურავის შეკეთებაზე შესრულებული და გადახდილი იყო 188.8 ათასი ლარი, შესრულებული სამუშაოების საგარანტიო პერიოდი შეადგენდა 5 წელს სამუშაოების დამთავრებიდან და საგარანტიო ვადის განმავლობაში მიმწოდებელი ვალდებული იყო საკუთრი ხარჯებით უზრუნველყო მიმწოდებლის მიზეზით წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრა. შემოსავლების სამსახურის 2016 წლის 10 მარტის წერილით ²⁵ ირკვევა, რომ შპს „ორნამენტი“-ს მიერ სახურავის შეკეთებაზე შესრულებულ სამუშაოებშიც აღმოჩნდა დეფექტები, რის გამოც შენობაში ჩადის წყალი.

აუდიტით დადგინდა, რომ შესრულებულ სამუშაოზე 2014 წლის 26 სექტემბრის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ შედგენილი დასკვნის²⁶ და 2014 წლის 3 ოქტომბრის შუალედური მიღება-ჩაბარების აქტის შესაბამისად შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 410.0 ათასი ლარი. აღნიშნული სამუშაოების ფარგლებში მიწოდებული და მიღებულია 2 ცალი მშრალი 2*1600 კვტ სიმძლავრის 62.5 ათასი ლარის ღირებულების²⁷ მაღალი ძაბვის ტრანსფორმატორი და 79.6 ათასი ლარის ღირებულების სათადარიგო ნაწილები. შპს „მონოლითმშენი“-ს 2015 წლის 19, 20 და 22 მაისის წერილების²⁸ საფუძველზე დგინდება, რომ ერთ-ერთ ტრანსფორმატორში აღმოჩენილი ტექნიკური წუნისა და მეორე ტრანსფორმატორის ლაბორატორიულ სტენდზე გამოცდის მიზნით საჭირო იყო ამ ტრანსფორმატორების ქ. თბილისში გადატანა. 2015 წლის 22 მაისს შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის შესაბამისად შემოსავლების სამსახურმა გადასცა შპს „მონოლითმშენმა“ კი მიიღო ერთი ერთეული მაღალი ძაბვის ტრანსფორმატორი, აღნიშნული მიღება-ჩაბარების აქტის შესაბამისად ტრანსფორმატორის ნაკლი მდგომარეობდა იმაში, რომ ერთ-ერთი ტრანსფორმატორის ყუთში აღმოჩნდა მხოლოდ ტრანსფორმატორის რკინის ავზი, ყველა სხვა დეტალების გარეშე. შპს „მონოლითმშენი“-ს 2015 წლის 29 ივნისის წერილითა²⁹ და მასზე თანდართული განცხადებით დგინდება, რომ შპს „მონოლითმშენი“-ს მიერ სგპ

²⁴ N 1/483

²⁵ N21-02/19966

²⁶ ექსპერტიზის აქტის დასკვნა N005187214

²⁷ დარიცხვების გათვალისწინებით

²⁸ N81912/21, N 82763/21, N 86257/21

²⁹ N 109882/21

„ნინოწმინდა“-დან თბილისში გადატანილია არა ერთი, არამედ ორი ტრანსფორმატორი, საიდანაც ერთ-ერთი ტრანსფორმატორი იყო გაუმართავ მდგომარეობაში, კერძოდ ტრანსფორმატორის ყუთი ამოვსებული იყო ქვებით. მეორე ტრანსფორმატორის თბილისში გადატანაზე შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტი წარმოდგენილი ვერ იქნა. დღეის მდგომარეობით აღნიშნული ტრანსფორმატორები ბუღალტრულად ირიცხება არა შემოსავლების სამსახურის „ძირითადი აქტივების სხვა მანქანა-დანადგარების და ინვენტარის“ მუხლში, არამედ „არასაცხოვრებელი შენობების“ მუხლში. შესაბამისად, 2015 წლის ბოლოს ჩატარებული ინვენტარიზაციის მასალებში დანაკლისების სახით მათი დაფიქსირება და საჭირო ღონისძიებების გატარება არ განხორციელებულა. შემოსავლების სამსახურის მიერ დაუკომპლექტებელი ტრანსფორმატორების მიღების, ღირებულების ანაზღაურების, მეორე ტრანსფორმატორზე მიღება-ჩაბარების აქტის გაუფორმებლობისა და აღნიშნული ტრანსფორმატორების გამართულ მდგომარეობაში უკან დაბრუნების შესახებ მტკიცებულებები წარმოდგენილი ვერ იქნა.

სგპ „ნინოწმინდა“-ს ტერიტორიაზე შენობის გაძლიერების პროექტის შესყიდვაზე ტენდერში გამარჯვებულ შპს „მდგრადობის ექსპერტთან“ 2016 წლის 1 მარტს გაფორმებული ხელშეკრულების³⁰ შესაბამისად შესასრულებელი სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 78.8 ათასი ლარი. შპს „მდგრადობის ექსპერტი“-ს მიერ მომზადებული შენობის გაძლიერების პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ 2016 წლის 25 აგვისტოს ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნით³¹ დგინდება, რომ პროექტის კონსტრუქციული ნაწილი შესრულებულია ხარვეზებით და მოითხოვს კორექტირებას.

აუდიტის მიმდინარეობის პროცესში, კერძოდ 2016 წლის 11 ნოემბერს სგპ „ნინოწმინდის“ მშენებარე ობიექტზე არსებული მდგომარეობის ვიზუალური დათვალიერებით³² დადგინდა, რომ სახურავის გადახურვის ფილის მთელ პერიმეტრზე აღინიშნება დიდი რაოდენობის წყლის ჩამოდინების კვალი. წყლის ჩამოსვლის შედეგად რიგ ადგილებში დაზიანებულია თაბაშირმუყაოს ჭერი, კედლები და თაბაშირმუყაოს ფილების შიგნით არსებული მინაბამბა. შენობის კარკასულ ნაწილს, კერძოდ მონოლითისა და მეტალის კონსტრუქციის რიგელებს და პერიმეტრზე არსებულ მონოლითურ ფილას აღენიშნება დეფორმაცია, რკინა-ბეტონის სვეტებსა და კოჭებს შორის ბლოკით შევსებულ

³⁰ N1/118

³¹ N 005075116

³² შემოსავლების სამსახურის თანამშრომლების მონაწილეობით

კედლებზე შეიმჩნევა ჰორიზონტალური და ვერტიკალური ბზარები. მრავალ ადგილზე შეინიშნება გადახურვის ფილის გამოტუტვისა და არმატურის კოროზიის ნიშნები.

ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2016 წლის 22 თებერვლის დასკვნის მიხედვით დაზიანებული სამუშაოების ჩამონათვლის შესაბამისად შემოსავლების სამსახურზე მიყენებული ზარალი ვერ დადგინდა.

დღეის მდგომარეობით ნინოწმინდის ტერიტორიაზე საბაჟო გამშვები პუნქტის მშენებლობაზე გახარჯულია ³³ 9,857.5 ათასი ლარი. აღნიშნული სამუშაოების არასწორი დაგეგმვითა და უხარისხოდ შესრულების შედეგად, მისი ექსპლოატაციაში მიღების და შემდგომი ფუნქციონირებისათვის დამატებით გასაწევი ხარჯების ოდენობის შესახებ მტკიცებულებები წარმოდგენილი ვერ იქნა.

ნინოწმინდას ტერიტორიაზე საბაჟო გამშვები პუნქტის სამშენებლო სამუშაოების არასწორი დაგეგმვითა და უხარისხოდ შესრულებული სამუშაოების მიღებისა და ანაზღაურების შედეგად მიყენებული ზარალის და შესაბამისად არაეკონომიურად გახარჯული საბიუჯეტო თანხების სრულად დათვლა შესაძლებელი იქნება აღნიშნულ ობიექტზე შემდგომ ეტაპებზე დამატებით შესრულებული სამუშაოებისა და გადახდილი თანხების შესაბამისად. დღეის მდგომარეობით სახურავის მეორედ შეკეთებისა და გამაგრების პროექტის შედგენაზე დამატებით გახარჯულია 333.7 ათასი ლარი.

სგპ „ლაგოდეხი“-ს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენაზე 2012 წლის 31 ივლისს შემოსავლების სამსახურსა და შპს „გილს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების ³⁴ შესაბამისად შესრულებულია 36.0 ათასი ლარის სამუშაოები. სგპ „ლაგოდეხი“-ს ტერიტორიაზე სამშენებლო სამუშაოების შესყიდვაზე ³⁵ 2012 წლის სექტემბერში გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში³⁶ გამარჯვებულად გამოცხადებულია და 2012 წლის 13 სექტემბერს ხელშეკრულება ³⁷ , 6,375.0 ათასი ლარის სამუშაოების შესყიდვაზე, გაფორმებულია შპს „ალიანსთან“. შპს „ალიანსი“-ს მიერ 2013 წლის 1 აპრილამდე პერიოდში შესრულებულია 974.1 ათასი ლარის სამუშაოები. შემოსავლების სამსახურის სათათბირო საბჭოს 2013 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილებით ³⁸ შესასრულებელი სამუშაოების საპროექტო და სახელშეკრულებო ხარჯთაღრიცხვებს შორის

³³ საპროექტო ხარჯების ჩათვლით, ექსპერტიზაზე გაწეული ხარჯების გარეშე.

³⁴ N 1/641

³⁵ პროექტზე ექსპერტიზის ჩატარების გარეშე

³⁶ სავარაუდო ღირებულება 6,750.0 ათასი ლარი.

³⁷ 1/719

³⁸ სხდომის ოქმიN 4

არსებული მნიშვნელოვანი შეუსაბამოების გამო ³⁹ შპს „ალიანსთან“ შეწყვეტილია გაფორმებული ხელშეკრულება. დარჩენილი სამუშაოების შესყიდვის მიზნით 2013 წლის 23 აგვისტოს გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში⁴⁰ გამარჯვებულად გამოცხადებულია და 2013 წლის 7 ოქტომბერს 5,500.0 ათასი ლარის სამუშაოების შესყიდვაზე ხელშეკრულება⁴¹ გაფორმებულია შპს „ნოვა“-სთან. შპს „ნოვა“-ს მიერ შესრულებულია 179.2 ათასი ლარის სამუშაოები. შემოსავლების სამსახურის 2014 წლის 7 აგვისტოს წერილის⁴² შესაბამისად, ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის შპს „ნოვა“-ს პირგასამტეხლოს სახით დაერიცხა 279.0 ათასი⁴³ ლარი⁴⁴ და შეწყვეტილია მასთან გაფორმებული ხელშეკრულება.

სგპ „ლაგოდეხი“-ს სამშენებლო და გარე ტერიტორიის მოწყობის სამუშაოების შესყიდვაზე 2015 წლის აგვისტოში გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადებულია და 6,177.8 ათასი ლარის სამუშაოების შესრულებაზე ხელშეკრულება ⁴⁵ გაფორმებულია შპს „საბა კონსტრაქშენთან“. 2016 წლის 1 იანვრამდე პერიოდში შესრულებულია 323.8 ათასი ლარის სამუშაოები. შემოსავლების სამსახურის ინფრასტრუქტურის განვითარების სამმართველოს 2016 წლის 29 მარტის და 2016 წლის 16 მაისის მოხსენებითი ბარათების⁴⁶ საფუძველზე შემოსავლების სამსახურსა და შპს „საბა კონსტრაქშენს“ შორის 2016 წლის 1 ივნისს გაფორმებული შეთანხმებით სგპ „ლაგოდეხის“ მშენებლობაზე შესრულებული სამუშაოების კონსერვაციის მიზნით შედგენილი კორექტირებული ხარჯთაღრიცხვით სახელშეკრულებო ღირებულება 6,177.8 ათასი ლარიდან შემცირებულია 301.7 ათას ლარამდე. 2016 წლის 16 აგვისტოს შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის შესაბამისად შპს „საბა კონსტრაქშენის“ მიერ შესრულებულია დარჩენილი 68.9 ათასი ლარის სამუშაოები, კერძოდ კი ტერიტორიის შემოღობვისა და ელექტროგანათების სამუშაოები, მაშინ როცა „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის N57 დადგენილების შესაბამისად ⁴⁷ მშენებლობის კონსერვაციის დროს უნდა ეცნობებინათ მშენებლობის სახელმწიფო ზედამხედველობის განმხორციელებელი შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოსათვის, ხოლო ობიექტის მდგრადობის, უსაფრთხოების და სანიტარული ნორმების

³⁹ პროექტით გათვალისწინებული რკინა-ბეტონის კონსტრუქცია შეიცვალა ლითონის კონსტრუქციით.

⁴⁰ სავარაუდო ღირებულება 6,247.0 ათასი ლარი.

⁴¹ N 1/501

⁴² N 21-02/56169

⁴³ 2015 წლის 1 ივლისის სასამართლოს გადაწყვეტილება-საქმე N2/130-15.

⁴⁴ პირგასამტეხლოს გადახდის შესახებ მტკიცებულებები წარმოდგენილი ვერ იქნა

⁴⁵ N1/345

⁴⁶ N 36088-21 და N 57903-21

⁴⁷ მუხლი 90.მშენებლობის კონსერვაცია

დაცვისა და მისი კონსტრუქციული ელემენტების დაუზიანებლად შენარჩუნების მიზნით საჭირო იყო კონსერვაციის პროცესით გათვალისწინებული მთელი რიგი საკითხების შესრულება. შპს „საბა კონსტრაქშენტან“ გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შეჩერების მიზეზებისა და არგუმენტების შესახებ მტკიცებულებები წარმოდგენილი ვერ იქნა.

შპს „ალიანსთან“ თავდაპირველად გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად მშენებლობისათვის გათვალისწინებული 6,375.0 ათასი ლარის ფარგლებში სგპ „ლაგოდების“ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით გათვალისწინებული სამუშაოების დამთავრება უნდა მომხდარიყო 2012 წლის 13 სექტემბრიდან 2013 წლის 13 აგვისტომდე პერიოდში. ფაქტიურად კი 2012 წლის 13 სექტემბრიდან 2016 წლის 16 აგვისტომდე პერიოდში სგპ „ლაგოდების“ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენაზე და მშენებლობაზე ოთხი კომპანიის მიერ მიწისა და მონოლითური რკინა-ბეტონის მოწყობის სამუშაოების სახით სულ შესრულებულია მხოლოდ 1,491.0 ათასი ლარის სამუშაოები.

აუდიტის მიმდინარეობის პროცესში, კერძოდ 2016 წლის 15 ნოემბერს ლაგოდების საბაჟო გამშვები პუნქტის მშენებარე ობიექტზე არსებული მდგომარეობის ვიზუალური დათვალიერებით ⁴⁸ დადგინდა, რომ სამშენებლო კომპანიების მიერ შესრულებულია ძირითადად მიწისა და მონოლითური რკინა-ბეტონის მოწყობის სამუშაოები. შესრულებულ მიწის და ბეტონის სამუშაოებს ხანგრძლივი დროის განმავლობაში ღია ცის ქვეშ ყოფნის შედეგად აშკარად ეტყობა გარემოს ზემოქმედების კვალი. ბეტონდაუსხმელ, ღორღით მოწყობილ ადგილებზე კი ამოსულია ხე-მცენარეები და სარეველა ბალახები.

ლაგოდების საბაჟო გამშვები პუნქტის სამშენებლო სამუშაოების თავისდროულად შეუსრულებლობა და კონსერვაციის პროცესით გაწერილი პირობების გაუთვალისწინებლობა წარმოშობს საბიუჯეტო თანხების არარაციონალურად გახარჯვის რისკს, ხოლო დღეის მდგომარეობით მშენებლობისათვის გახარჯული 1,491.0 ათასი ლარის ხარჯი წარმოადგენს არაეფექტურ ხარჯს.

შესყიდვების პროცედურები

შემოსავლების სამსახურის მიერ 2014 წლის 8 იანვარს გამოცხადებულია ელექტრონული ტენდერი ⁴⁹ ქ. თბილისში აზზიანძის ქ.N4-ში ძაღლებისათვის საძაღლე

⁴⁸ შემოსავლების სამსახურის თანამშრომლების მონაწილეობით

⁴⁹ SPA140000310

ქობისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოების შესყიდვის მიზნით⁵⁰. ტენდერში გამარჯვებულია შპს „იბექსი“, რომელთანაც ხელშეკრულება გაფორმებულია 2014 წლის 25 თებერვალს. ხელშეკრულების ღირებულება განსაზღვრულია 598.9 ათასი ლარით. უნდა აღინიშნოს, რომ სატენდერო დოკუმენტაციის ხარჯთაღრიცხვის თანახმად, „ტერიტორიის საფარის მოწყობის“ გრაფის 55-ე პოზიციაში გათვალისწინებული იყო მსხვილმარცვლოვანი ა/ბეტონის ფენის მოწყობა 7 სმ, ხოლო 57-ე პოზიციაში - წვრილმარცვლოვანი ა/ბეტონის ფენის მოწყობა 5 სმ. შპს „იბექსი“-ს მიერ სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული სისტემის მეშვეობით წარდგენილ დაზუსტებულ ხარჯთაღრიცხვაში „ტერიტორიის საფარის მოწყობის“ გრაფის 55-ე პოზიციაში მითითებულია: „მსხვილმარცვლოვანი ა/ბეტონის ფენის მოწყობა 6 სმ“, ხოლო 57-ე პოზიციაში - „წვრილმარცვლოვანი ა/ბეტონის ფენის მოწყობა 4 სმ“. ანუ შპს „იბექსი“-ს მიერ დაზუსტებული ხარჯთაღრიცხვა წარდგენილია სატენდერო დოკუმენტაციის N1 დამატების დარღვევით, რაც ტექნიკური დოკუმენტაციის 2.9 პუნქტის შესაბამისად პრეტენდენტის დისკვალიფიკაციის საფუძველს წარმოადგენდა. მიუხედავად ამისა, სატენდერო კომისიის მიერ მიჩნეულ იქნა⁵¹, რომ შპს „იბექსი“-ს მიერ წარდგენილი დაზუსტებული დოკუმენტაცია აკმაყოფილებდა სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს და მასთან გაფორმებულია ხელშეკრულება.

თბილისის გეზ-ში მომხმარებელთა ნაკადის მართვის სისტემის მიწოდება-მონტაჟის სახელმწიფო შესყიდვის მიზნით შემოსავლების სამსახურის მიერ 2014 წლის 16 იანვარს გამოცხადებულ გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში⁵² გამარჯვებულია შპს „ენ ჯი თი ჯგუფი“ და 52.3 ათასი ლარის საქონლის მიწოდება-მონტაჟზე 2014 წლის 28 იანვარს გაფორმებულია ხელშეკრულება⁵³. ხელშეკრულებით მიწოდების ვადა განისაზღვრა 2014 წლის 27 თებერვლის ჩათვლით, რომელიც სამჯერ გადავადდა ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილებებით 2014 წლის 1 ივნისამდე. აღნიშნულ ცვლილებებს საფუძვლად ედო ის გარემოება, რომ თბილისის გეზ-ის სამშენებლო სამუშაოები არ იყო დასრულებული. აღნიშნული ფაქტი მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ შემოსავლების სამსახურის მიერ ვერ განხორციელდება მოთხოვნების და საჭიროებების სათანადოდ შეფასება, რაც გამოიხატა სახელმწიფო შესყიდვის არასწორ დაგეგმვაში. და რამაც საქონლის მიწოდება-მონტაჟის ვადების გაგრძელება გამოიწვია.

⁵⁰ სამუშაოების სავარაუდო ღირებულება განისაზღვრა 838.0 ათასი ლარით

⁵¹ 18.02.2014 წ. N3 ოქმი

⁵² (SPA140001224)

⁵³ N1/57

სამშენებლო სამუშაოების შესყიდვებზე გამოცხადებულ ტენდერებში ხარჯთაღრიცხვები ძირითადად შედგენილია 1992 წლამდე მოქმედი სამშენებლო ნორმებითა და წესებით განსაზღვრული კოეფიციენტების შესაბამისად. სატენდერო დოკუმენტაციების ხარჯთაღრიცხვაში შესაბამისი ნორმების არასწორად გამოყენება კი თავის მხრივ გავლენას ახდენს სავარაუდო ღირებულების სწორად განსაზღვრაზე. ასე მაგალითად: შემოსავლების სამსახურის ზესტაფონის სერვისცენტრის შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვის მიზნით, 2014 წლის 21 აგვისტოს გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში, გამარჯვებულად გამოცხადებულია და 2014 წლის 23 სექტემბერს ხელშეკრულება⁵⁴ 50.0 ათასი ლარზე გაფორმებულია შპს „ჯორჯიან აგრო ექსპორტთან“. აღნიშნული შესყიდვის სატენდერო დოკუმენტაციისა და სახელშეკრულებო ხარჯთაღრიცხვის⁵⁵ საფუძველზე წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოების აქტების მიხედვით მდგ-ის კარების დემონტაჟის ღირებულება 1 კვ/მ ზე განფასებულია 88.7 კ/საათი შრომის დანახარჯით და სხვა მანქანების ღირებულებით 9.84 ლარი. მოქმედი სამშენებლო ნორმების მიხედვით კი⁵⁶ აღნიშნული კოეფიციენტები დაანგარიშებულია 100 კვ/მ-ის მოცულობის სამუშაოებზე ნაცვლად ხარჯთაღრიცხვით განსაზღვრული 1 კვ/მ-ისა. არსებული შეუსაბამობის გამო მიმწოდებლისათვის ასანაზღაურებელი თანხის ოდენობა გაზრდილია 100 ჯერ და 46 ლარის ნაცვლად შესრულებული სამუშაოების აქტის მიხედვით შეადგინა 4.6 ათასი ლარი.

შესყიდვის სავარაუდო ღირებულებების განსაზღვრა

ლაზერული პრინტერების შესყიდვის მიზნით 2015 წლის 7 ივლისს გამოცხადებულ ტენდერში⁵⁷ რომლის სავარაუდო ღირებულება შეადგენდა 321.5 ათასს ლარს, მონაწილეობას იღებდა სამი კანდიდატი, მათ შორის საუკეთესო ფასი - 209.9 ათასი ლარის ოდენობით შეთავაზებულია შპს „ულტრა“-ს მიერ, რომელსაც სატენდერო კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე დაევალა აღნიშნული ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთება. შპს „ულტრა“-ს მიერ წარმოდგენილია 2015 წლის 3 აგვისტოს გაფორმებული ხელშეკრულება შპს „ACC distribucion“-თან პრინტერების 164.3 ათას ლარად მიწოდებაზე და შპს „ბილდინგ-ექსპერტის“ 2015 წლის 4 აგვისტოს გაცემული დასკვნა, რომლიდანაც ირკვევა, რომ შპს „ACC distribucion“ არის აღნიშნული პრინტერების ოფიციალური საბითუმო გამყიდველი მთელ

⁵⁴ N1/523

⁵⁵ სარემონტოს სამუშაოების ნაწილი თავი V

⁵⁶ СНиП IV-2-82, კრებული N46, პარაგრაფი 5, ცხრილი 46-32, გრაფა 3

⁵⁷ SPA150018800

რიგ ქვეყნებში⁵⁸ და პრინტერების ღირებულება განბაჟებისა და საბაჟოდან მიწოდების ადგილამდე ტრანსპორტირების ჩათვლით შეადგენს 136.8 ათას ლარს.

ნათურების და ნათურების აქსესუარების შესყიდვის მიზნით 2015 წლის 5 დეკემბერს გამოცხადებულ ტენდერში⁵⁹, რომლის სავარაუდო ღირებულება შეადგენდა 183.0 ათასი ლარს, მონაწილეობას იღებდა ოთხი კანდიდატი. ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტს - შპს „ვატა“-ს სატენდერო კომისიის გადწყვეტილებით დაევალა⁶⁰ აღნიშნული ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთება. პრეტენდენტის მიერ შპს „ახალი ნათებიდან“ წარმოდგენილია საქონლის ღირებულების დამადასტურებელი ინვოისი, სადაც აღნიშნული საქონელი განფასებულია 94.1 ათასი ლარად.

სხვადასხვა სახის დროშების შესყიდვის მიზნით 2015 წლის 11 სექტემბერს გამოცხადებულ ტენდერში⁶¹ სავარაუდო ღირებულება განსაზღვრულია 100.0 ათასი ლარით. ელექტრონულ ვაჭრობაზე ყველაზე დაბალი ფასი 60.0 ათასი ლარის ოდენობით შეთავაზებულია შპს „სავაჭრო ჯგუფი“-ს მიერ, რომელსაც დაევალა აღნიშნული ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა. კომპანიის მიერ წარმოდგენილია ჩინური კომპანია „Modern Power Development“-ის 2015 წლის 4 ოქტომბრის ინვოისი, სადაც მისაწოდებელი დროშების ღირებულება შეადგენდა 34.7 ათას ლარს. სატენდერო პროცედურების გავლის შემდეგ შპს „სავაჭრო ჯგუფთან“ 2015 წლის 3 ნოემბერს გაფორმებულია 60.0 ათასი ლარის ღირებულების ხელშეკრულება⁶².

სანტექნიკური მოწყობილობების შესყიდვის მიზნით 2014 წლის 25 ივლისს გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში⁶³, რომლის სავარაუდო ღირებულება შეადგენდა 139.0 ათას ლარს, მონაწილეობას იღებდა ოთხი პრეტენდენტი. ელექტრონულ ვაჭრობაზე ყველაზე დაბალი ფასი⁶⁴ შეთავაზებულია შპს „უნივერსალ ჯგუფი“-ს მიერ, რომელთანაც სატენდერო პროცედურების გავლის შემდეგ 2015 წლის 15 აგვისტოს გაფორმებულია ხელშეკრულება⁶⁵ სავარაუდო ღირებულებასთან შედარებით 52.2 ათასი ლარით ნაკლებ თანხაზე.

⁵⁸ მათ შორის საქართველოში

⁵⁹ SPA150033058

⁶⁰ 115.1 ათასი ლარი

⁶¹ SPA150024900

⁶² N1/513

⁶³ SPA140018169

⁶⁴ 37%-ით დაბალი

⁶⁵ N1/455

ზემოთ აღნიშნულ შემთხვევებში შემოსავლების სამსახურის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ სამსახურის მიერ ბაზრის კვლევა წარმოებდა არასრულყოფილად, შესაბამისად ვერ მივიღეთ საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები შესასყიდი საქონლის სავარაუდო ღირებულების სწორად განსაზღვრის თაობაზე.

გათობა-ვენტილაცია

გათობა-ვენტილაცია-კონდიციონერების შესყიდვის მიზნით 2015 წლის 11 ივნისს გამოცხადებული ელექტრონული ტენდერის⁶⁶ სატენდერო დოკუმენტაციის თანახმად, სხვა სამუშაოებთან ერთად, მიმწოდებელს უნდა განეხორციელებინა ერთი ერთეული ჩილერის აუდიტის დეპარტამენტის შენობაში დამონტაჟება. ტენდერში მონაწილე ერთადერთ პრეტენდენტს ფ.პ. ლაშა მამულაშვილს სატენდერო დოკუმენტაციის შესაბამის დანართებში ფასების მიუთითებლობის გამო, კომისიის მიერ მოთხოვნილი დაზუსტებული ტექნიკური დოკუმენტაციით, ერთი ერთეული ჩილერის ნაცვლად წარმოდგენილი აქვს არსებითად სხვა პარამეტრების მქონე ორი დანადგარი, რომლის ჯამური სიმძლავრე მისივე განმარტებით აღემატებოდა მოთხოვნილი გათბობის სისტემის ტექნიკურ მახასიათებლებს. სატენდერო კომისიის მიერ შესაბამისი მარეგულირებელი ნორმების დარღვევით⁶⁷ მისაღებად ჩაითვალა ზემოაღნიშნული შეუსაბამო და ტენდერით გათვალისწინებული პროცედურების გავლის შემდეგ ფ.პ. ლაშა მამულაშვილთან გაფორმებულია 178.0 ათასი ლარის ღირებულების ხელშეკრულება⁶⁸. აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში დამონტაჟებულმა 1 ცალი ჩილერის ღირებულებამ შეადგინა 53.8 ათასი ლარი

აღსანიშნავია, რომ ანალოგიური ჩილერი⁶⁹ იმავე პრეტენდენტის მიერ მიწოდებულია სგპ „ყაზბეგი“-ს გათბობა/ვენტილაცია/კონდიციონერების პაკეტის შესყიდვის მიზნით 2015 წლის 11 აგვისტოს გაფორმებული⁷⁰ ხელშეკრულების⁷¹ ფარგლებში, სადაც ერთი ერთეული ჩილერის ღირებულება შეადგენდა 63.0 ათასი ლარს, რაც 9.2 ათასი ლარით აღემატება აუდიტის დეპარტამენტში დამონტაჟებული ანალოგიური ტიპის ჩილერის ღირებულებას. სგპ „ყაზბეგი“-ს ტერიტორიაზე გათბობა-ვენტილაციის სამუშაოების შესყიდვის საკითხები შესწავლილია შემოსავლების სამსახურის სამსახურებრივი მონიტორინგის დეპარტამენტის

⁶⁶ SPA150016636 სავარაუდო ღირებულება 180.0 ათასი ლარი

⁶⁷ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-12 მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნა.

⁶⁸ N1/304

⁶⁹ Chigo CS-F130HW/ZR1

⁷⁰ N1/337

⁷¹ ხელშეკრულება გაფორმდა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე - საქართველოს მთვრობის 2015 წლის 3 აგვისტოს N1688 განკარგულება

მიერ, სადაც ფ.პ ლაშა მამულაშვილის მიერ განხორციელებული სამუშაოების არაეფექტიანობასთან ერთად ხაზგასმულია შესყიდული ჩილერის საბაზრო ღირებულებასთან შეუსაბამობის საკითხი, კერძოდ დადგენილია, რომ ფ.პ. ლაშა მამულაშვილს საქონლის იმპორტი საერთოდ არ განუხორციელებია. „Chigo“-ს ფირმის ჩილერი F130HW/ZR1 მას შესყიდული აქვს შპს „კლიმატ დიზაინი“-სგან 50.0 ათას ლარად⁷². შპს „კლიმატ დიზაინს“ კი იგივე მოდელის ჩილერი შესყიდული აქვს შპს „თერმო ცენტრი“-სგან 31.0 ათას ლარად. აღნიშნულის გათვალისწინებით შეიძლება დავასკვნათ, რომ შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტში და სგპ „ყაზბეგი“-ში გათბობა-ვენტილაცია-კონდიციონერების დამონტაჟების მიზნით შესასყიდი ჩილერების სავარაუდო ღირებულების სწორად განსაზღვრის შემთხვევაში შესაძლებელი იქნებოდა შესაბამისად 45.6 ათასი ლარის და 32.0 ათასი ლარის ეკონომიის მიღწევა.

გამარტივებული შესყიდვები

სგპ „სადახლო“-ს ტერიტორიაზე სარემონტო სამუშაოების შესყიდვის მიზნით 2015 წლის 1 აგვისტოს გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში⁷³ მონაწილეობას იღებდა მხოლოდ ერთი პრეტენდენტი შპს „ექსპრესსერვისი 2008“. ელექტრონული ტენდერით გათვალისწინებული პროცედურების გავლის შემდეგ, შერჩევა-შეფასების ეტაპზე სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით მოხდა შპს „ექსპრესსერვისი 2008“-ს დისკვალიფიკაცია იმ მოტივით, რომ მის მიერ წარმოდგენილი დაზუსტებული ტექნიკური დოკუმენტაცია შეიცავდა გარკვეულ უზუსტობებს, კერძოდ სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილი ბოლო 3 წლის განმავლობაში ანალოგიური⁷⁴ სირთულის სამუშაოების მქონე მინიმუმ ხუთი პროექტის მათ შორის ერთი 1,000.0 ათასი ლარის ღირებულების სამუშაოების განხორციელების დამადასტურებელი დოკუმენტაცია ვერ იქნა წარმოდგენილი. პრეტენდენტის დისკვალიფიკაციის შემდეგ, სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით ტენდერს მიენიჭა სტატუსი „დასრულებულია უარყოფითი შედეგით,“ რომლის შემდეგ აღნიშნულ სამუშაოების შესყიდვაზე, გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით 2015 წლის 23 ოქტომბერს შპს „ოლ-პი ჯგუფთან“ გაფორმებულია ხელშეკრულება⁷⁵ ჯამური ღირებულებით 892.5 ათასი ლარი. ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ

⁷² ტრანსპორტირების ჩათვლით

⁷³ SPA150021456

⁷⁴ შენობის მშენებლობა და ბეტონის საფარის მოწყობა

⁷⁵ N1/493

მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის მიხედვით კი შეადგინა 780.1 ათასი ლარი.

აღსანიშნავია, რომ შესყიდვების კანონმდებლობის მიხედვით⁷⁶ თუ გადაუდებელი შესყიდვის აუცილებლობა გამოწვეულია უარყოფითი შედეგით დასრულებული ან არშემდგარი ტენდერის გამო, ასეთ შემთხვევაში გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ხელშეკრულების დადება შეიძლება მხოლოდ იმ მიმწოდებელთან, რომელიც აკმაყოფილებს ტენდერით გათვალისწინებული სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს. დაუშვებელია მიმწოდებლის გამოცდილება და სხვა პერსონალური მახასიათებლები⁷⁷ უარესი/უფრო მცირე იყოს, ვიდრე სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული ანალოგიური მონაცემები. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შპს „ოლ-პი ჯგუფს“ უნდა წარმოედგინა 3 წლის განმავლობაში მინიმუმ 5 მილიონი ლარის ოდენობის საშუალო ბრუნვა, ბოლო 3 წლის განმავლობაში ანალოგიური სირთულის სამუშაოების მქონე მინიმუმ 5 პროექტი მათ შორის მინიმუმ 1 პროექტი 1,000.0 ათასი ლარის ღირებულების, ბანკიდან მინიმუმ 300.0 ათასი ლარის ოდენობის საკრედიტო ხაზის დამადასტურებელი დოკუმენტაცია და პერსონალის მინიმუმ 5 წლიანი გამოცდილება. მიმწოდებლის გამოცდილებისა და სხვა პერსონალური მახასიათებლების შესახებ მონაცემები წარმოდგენილი ვერ იქნა.⁷⁸

ავანსები

შემოსავლების სამსახურის მებაჟეებისათვის სხვადასხვა სახის ტანსაცმლის სახელმწიფო შესყიდვის მიზნით 2014 წლის 21 ნოემბერს გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში⁷⁹ გამარჯვებულად გამოვლენილია შპს „ოლბერი“ და 2015 წლის 25 თებერვალს გაფორმებულია ხელშეკრულება⁸⁰ 642.5 ათასი ლარის ოდენობით. ხელშეკრულების 5.3. მუხლში 2015 წლის 6 მარტს შეტანილი ცვლილების შესაბამისად, შესაძლებლად იქნა მიჩნეული წინასწარი ანგარიშსწორების განხორციელება ხელშეკრულების ღირებულების არაუმეტეს 50%-მდე. აღნიშნულის გათვალისწინებით მიმწოდებლისთვის ავანსის სახით 2015 წლის 13 მარტს გადარიცხულია - 321.5 ათასი ლარი. უნდა აღინიშნოს, რომ შემსყიდველის მიერ სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში

⁷⁶ კანონის

⁷⁷ წლიური ბრუნვა, დასაქმებულთა რაოდენობა და სხვ.

⁷⁸ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნები.

⁷⁹ SPA140027193 სავარაუდო ღირებულება 649.0 ათასი ლარი.

⁸⁰ N1/109

ატვირთულ სატენდერო განცხადების 2.3.4. პუნქტში მითითებულია, რომ წინასწარი ანგარიშსწორება არ გამოიყენება. ასევე სგპ „წითელი ხიდი“-ს, სგპ "მტკვარი"-ს და სგპ "გარდაბანი" -ს სარემონტო სამუშაოების შესყიდვის მიზნით 2015 წლის 10 ივნისს გამოცხადებული ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადებულია ს.ს „ტრანსმშენი“⁸¹ და 2015 წლის 15 ივლისს მასთან გაფორმებულია 1,337.5 ათასი ლარის ღირებულების ხელშეკრულება⁸². აღსანიშნავია, რომ სატენდერო დოკუმენტაციის შესაბამის პუნქტში⁸³ წინასწარი ანგარიშსწორების საკითხი გათვალისწინებული არ იყო, ხოლო 2015 წლის 18 სექტემბრს ხელშეკრულებაში განხორციელებული ცვლილებები ითვალისწინებდა მიმწოდებლისთვის შესაბამისი გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში 30%-ის ოდენობით ავანსის ანაზღაურებას. აღნიშნული ცვლილების საფუძველზე 2015 წლის 18 სექტემბერს მიმწოდებლისთვის ავანსის სახით გადარიცხულმა თანხამ შეადგინა 350.0 ათასი ლარი. ზემოაღნიშნულ ხელშეკრულებებში საავანსო ანგარიშსწორებასთან დაკავშირებით განხორციელებული ცვლილებები არ იყო არგუმენტირებული და შესაბამისად აღნიშნული ქმედებებით არაკონკურენტული გარემო შეიქმნა იმ პოტენციური პრეტენდენტებისათვის, რომლებსაც ტენდერის გამოცხადების ეტაპზე არ ჰქონდათ შესაძლებლობა სცოდნოდათ საავანსო ანგარიშსწორების არსებობისა და რაოდენობის შესახებ. აღნიშნული ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მიზანსა და პრინციპს სახელმწიფო შესყიდვების სფეროში ჯანსაღი და ეფექტიანი კონკურენციის განვითარებასთან დაკავშირებით. ამას გარდა, საავანსო თანხების გაცემა, შემოსავლების სამსახურის ანგარიშზე პროცენტის დარიცხვის თვალსაზრისით, აუარესებს ზოგადად შემსყიდველის მდგომარეობას, რადგან ხსენებულ ანგარიშზე არსებულ ნაშთს ყოველდღიურად ერიცხება პროცენტი, რაც მისი შემოსავლების ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენს. აღნიშნული წინააღმდეგობაში მოდის სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნებთან⁸⁴.

⁸¹ SPA150016506

⁸² N1/295

⁸³ ანგარიშსწორების პირობები

⁸⁴ ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად უარესდება ხელშეკრულების პირობების შემსყიდველი ორგანიზაციისათვის.

საგარანტიო ვადებში შესრულებული სამუშაოები

სგპ „სარფი“-ს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებზე შედგენილი საგარანტიო ვადის განმავლობაში წარმოქმნილი დაზიანებების აღმოფხვრა და შესაბამისი სამუშაოების ჩატარება ევალებოდა სამუშაოების შემსრულებელ კომპანიებს. 2010 წლის 1 მარტიდან 2016 წლის 1 იანვრამდე პერიოდში სგპ „სარფი“-ს ადმინისტრაციული შენობის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებზე 15 ხელშეკრულების შესაბამისად შესასრულებელი სამუშაოების მოცულობამ შეადგინა 19,738.0 ათასი ლარი.⁸⁵ აღნიშნულ ხელშეკრულებებზე თანდართული საგარანტიო ვადების და პირობების შესაბამისად შესრულებულ ცალკეული სახის სამუშაოებისათვის განსაზღვრული იყო საგარანტიო ვადები 3-დან 50 წლამდე. აუდიტით დადგინდა, რომ 2011-2015 წლებში ადგილი ჰქონდა ისეთი სახის სამუშაოების ჩატარებას, რომელთა საგარანტიო ვადები ხელშეკრულებების შესაბამისად თავდაპირველად შესრულებული სამუშაოებიდან გამომდინარე ამოწურული არ იყო. კერძოდ 2010 წლის 26 მარტს ფინანსთა სამინისტროსა⁸⁶ და სს „ტრანსმშენს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში⁸⁷ სგპ „სარფი“-ს ადმინისტრაციული შენობის სახურავის მოწყობის სამუშაოებზე შესრულებულია 692,2 ათასი ლარის სამუშაოები 35 წლიანი საგარანტიო ვადით. აღნიშნული საგარანტიო ვადის განმავლობაში ამავე შენობის დაზიანებული სახურავის შეკეთებისათვის 5 კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულებების შესაბამისად შესრულებულია სულ 327.1 ათასი ლარის სამუშაოები. შენობის კედლებისა და ჭერის თაბაშირ-მუყაოთი მოწყობაზე სს „ტრანსმშენთან“ გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად შესრულებულია 487.8 ათასი ლარის სამუშაოები 7 წლიანი საგარანტიო ვადით. 2012-2015 წლებში კი შენობის კედლებისა და ჭერის დაზიანებული ნაწილების აღდგენაზე, მიუხედავად საგარანტიო ვადისა შეუსრულებელია სულ 365.1 ათასი ლარის სამუშაოები.

გამოუყენებელი აქტივები

2014 წლის 2 ოქტომბერს საავტომობილო სკანერის მართვის პულტის შენობის აშენების მიზნით შპს „ორნამენტთან“ 2014 წლის 2 ოქტომბერს გაფორმებული ხელშეკრულების⁸⁸ შესაბამისად სგპ „ნინოწმინდაში“ 2015 წლის 30 ივლისს შესრულებულია 425.4 ათასი ლარის ღირებულების სამუშაოები. შემოსავლების სამსახურსა და ჩინურ

⁸⁵ აქედან 2010-2011 წლებში საბაჟოს ახალი შენობის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებზე 2 ხელშეკრულების⁸⁵ შესაბამისად შესრულებულია 16,853.4 ათასი ლარის სამუშაოები.

⁸⁶ ფინანსთა სამინისტროს 2011 წლის 1 ნოემბრის N557 ბრძანებით სარფის საბაჟოს აქტივები გადაეცა შემოსავლების სამსახურს

⁸⁷ სახელშეკრულებო ღირებულება 12026.8 ათასი ლარი

⁸⁸ 1/546

კომპანია „Nucteh Company Limited“-ს შორის 2014 წლის 8 აპრილს გაფორმებული ხელშეკრულების ⁸⁹ შესაბამისად 2014 წლის სექტემბრის თვეში შესყიდულია 7,556.1 ათასი ლარის ღირებულების ⁹⁰ სამი კომპლექტი სტაციონარული რენტგენული დათვალიერების მოწყობილობა „MB1215LC“. აქედან ერთი კომპლექტი 2,518.7 ათასი ლარის ღირებულების რენტგენული მოწყობილობა 2014 წლის დეკემბერში დამონტაჟებულია სგპ „ნინოწმინდაში“. სამაღლე ქოხების, ვოილერების სამშენებლო სამუშაოების შესყიდვაზე 2014 წელს გამოცხადებულ ტენდერებში გამარჯვებულ კომპანიებთან⁹¹ 2014 წლის 29 და 31 ივლისს, 1 აგვისტოს და 9 ოქტომბერს შპს „სამეცნიერო-საწარმოო კომპანია „სოვბი“-სთან, შპს „ბეთა“-სთან და შპს „ბაჩი“-სთან გაფორმებული ხელშეკრულებების ⁹² შესაბამისად 2014 წლის დეკემბრის, 2015 წლის მაისის და ივნისის თვეებში საბაჟო გამშვებ პუნქტებში: ლაგოდეხში, კარწახში, ნინოწმინდაში და სარფში აშენებული და ბუღალტრულად ძირითადი აქტივების მუხლში აღრიცხულია ოთხივე საბაჟოზე 424.1 ათასი ლარის ღირებულების შენობა-ნაგებობები. ზემოთ აღნიშნული შენობებისა და მოწყობილობის დანიშნულების მიზნით გამოყენება დღემდე არ განხორციელებულა. შედეგად აღნიშნული აქტივებიდან ეკონომიური სარგებელი 2014-2016 წლებში მიღებული არ არის, ცვეთის სახით კი ამ პერიოდში დარიცხულია შესაბამისი თანხები.

ავტოტრანსპორტი

შემოსავლების სამსახურის ბალანსზე 2014-2015 წლებში ირიცხებოდა საშუალოდ 371 სატრანსპორტო საშუალება. აქედან 2014 წელს 369 და 2015 წელს 373 სატრანსპორტო საშუალება. ავტომობილების რემონტზე გახარჯული თანხების აუდიტით დადგინდა, რომ რიგ შემთხვევებში ავტომანქანებზე გაცემული საგარანტიო პერიოდის განმავლობაში ადგილი აქვს ავტომანქანების სათადარიგო ნაწილების შეცვლას, კერძოდ შემოსავლების სამსახურსა და ფ.პ გიორგი ქოქოსაძეს შორის 2012 წლის 8 ივნისის გაფორმებული ხელშეკრულების⁹³ შესაბამისად ჩანაცვლების გზით მიწოდებულ 15 ერთეულ Hyundai i10 1.2 M/T -ზე და ერთ ერთეულ Hyundai H-1 2.5M/T-ზე ვრცელდებოდა გარანტია 5 წლის ვადით ულიმიტო გარბენზე, ხოლო ავტომანქანების სავალ ნაწილებზე საგარანტიო ვადა შეადგენდა 3 წელს ან 100 000 კ.მ ⁹⁴ მიუხედავად ზემოთ მოცემული საგარანტიო მომსახურების

⁸⁹ N 1/223

⁹⁰ დამონტაჟების ღირებულების ჩათვლით

⁹¹ SPA140016263, SPA1402016262, SPA140016261, SPA140021230

⁹² N1/416, N 1/424, N1/428, N 1/561

⁹³ N-1/503

⁹⁴ იმის მიხედვით თუ რომელი უფრო ადრე დადგებოდა.

ვალდებულებისა, 15 შესყიდული ავტოსატრანსპორტო საშუალებიდან 12 ერთეულზე 2014 წელს საყრდენი დისკის გამოცვლით სამსახურის მიერ გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 3.4 ათასი ლარი, მაშინ როცა ხელშეკრულებითა და შესაბამისი საგარანტიო პირობებიდან გამომდინარე აღნიშნული ხარჯების გაწევა ევალებოდა მიმწოდებელს.

ავტოტექნომსახურების დაწყებისას არ არსებობს რაიმე სახის დოკუმენტი, რომელიც დაასაბუთებდა ავტოტექნომსახურებით გასაწევი ხარჯის აუცილებლობასა და მიზანშეწონილობას. ავტოტექნომსახურების დამკვეთის, მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერისა და მთლიანად ამ პროცესის მაკონტროლებელის ფუნქციას ასრულებს ერთი და იგივე პიროვნება, რაც თავისთავად მაღალი რისკის შემცველი გარემოებაა.

ძირითადი საშუალებების აღრიცხვა

საბაჟო-გამშვები პუნქტების მშენებლობაზე გამოცხადებულ ტენდერებში შესყიდვის კატეგორიად მითითებულია CPV კოდი „N452-მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები“, მაშინ როდესაც აღნიშნული შესყიდვებით სამშენებლო სამუშაოებთან ერთად გათვალისწინებული იყო ასევე ძვირადღირებული ძალოვანი დანადგარების,⁹⁵ ვიდეო სამეთვალყურეო და გათბობა-გაგრილების სისტემების შესყიდვა და დამონტაჟება. აღნიშნული დანადგარების CPV კოდი კი იყო: „N311 „ელექტრო ძრავები, გენერატორები და ტრანსფორმატორები“, „N323 „ტელე და რადიო სიგნალის მიმღები და აუდიო და ვიდეო გამოსახულების ჩამწერი ან აღწარმოების აპარატურა“, „N425 გამაგრილებელი და სავენტილაციო მოწყობილობები“. მაგალითად პორტალ „ყაზბეგი“-ს, „ნინოწმინდა“-ს და „კარწახი“-ს ტერიტორიებზე საბაჟო-გამშვები პუნქტების მშენებლობაზე შპს „ფერთან“ სს „მონოლითმშენთან“ და შპს „ორნამენტთან“ გაფორმებული ხელშეკრულებების⁹⁶ შესაბამისად შესასრულებელი სამუშაოების კრებისთი ხარჯთაღრიცხვით სხვადასხვა სახის სამშენებლო სამუშაოებთან ერთად გათვალისწინებული იყო და ფაქტიურადაც განხორციელდა ძალოვანი დანადგარების, გათბობისა და ვიდეოსამეთვალყურეო სისტემების შესყიდვა და დამონტაჟება. კერძოდ აღნიშნული ხელშეკრულებების შესაბამისად შესყიდულია 1600 კვტ-ნი სიმძლავრის 910.0 ათასი ლარის ღირებულების⁹⁷ 2 ცალი დიზელ-გენერატორი, 4 ცალი 201.8 ათასი ლარის ღირებულების მშრალი ტრანსფორმატორი, 2 ცალი 72.3 ათასი ლარის ღირებულების ზეთოვანი

⁹⁵ გენერატორები და ტრანსფორმატორები

⁹⁶ N1/341, N 1/483, N 1/573

⁹⁷ დარიცხვების გარეშე

ტრანსფორმატორი. აღნიშნული შესყიდვებზე გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტები შედგენილია შესყიდული მატერიალური ფასეულობებისა და შესრულებული სამშენებლო სამუშაოებთან ერთად და შესაბამისად მათი ღირებულება ბუღალტრულად მიკუთვნებულია და აღრიცხულია ბალანსის შენობა-ნაგებობების მუხლში და ცვეთის სახით დარიცხულია ღირებულების 1%, მაშინ როცა აღნიშნული მატერიალური ფასეულობები თავისი ფუნქციური დანიშნულებისა და მომსახურების ვადებიდან გამომდინარე არ წარმოადგენენ შენობა-ნაგებობების განუყოფელ ნაწილს და მათთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის მიღება ხდება სხვადასხვა დროს. აღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილი იყო მათი შესყიდვა განხორციელებულიყო ცალ-ცალკე თავისივე CPV კოდების შესაბამისად. ბუღალტრულად კი ცვეთის მათთვის განკუთვნილი ნორმების გამოყენებით ექვემდებარებოდნენ ბალანსის „მანქანა-დანადგარებისა და ინვენტარის“ მუხლში აღრიცხვას. დარღვეულია „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 24-ე მუხლის მე-4 პუნქტისა⁹⁸, „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2014 წლის 31 დეკემბრის N 429 ბრძანების 45-ე მუხლის მე-11 პუნქტისა და „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბრის N439 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის პირველი მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნები.

რეკომენდაცია

შესყიდული ძირითადი აქტივების სწორად აღრიცხვისა და შესაბამისი ცვეთის ნორმების მართებულად გამოყენების მიზნით მიზანშეწონილია, აქტივები რომლებიც თავისი ფუნქციური დანიშნულებისა და მომსახურების ვადებიდან გამომდინარე არ წარმოადგენენ შენობა-ნაგებობების განუყოფელ ნაწილს, შესყიდვა განხორციელდეს აღნიშნული აქტივების CPV კოდების შესაბამისად ცალ-ცალკე.

⁹⁸ „ყველა იმ მოწყობილობის, დანადგარის, აპარატისა და ხელსაწყოების ღირებულება, რომლებიც ძირითადი აქტივების განუყოფელ ნაწილებს წარმოადგენს, ემატება ამ აქტივების ღირებულებას“

დაუმთავრებელი მშენებლობა

შემოსავლების სამსახურის საბალანსო მონაცემებით 2014 წლის 1 იანვრისათვის დაუმთავრებელი მშენებლობის სახით ორ ობიექტზე ირიცხებოდა 2,493.7 ათასი ლარი. ხოლო 2016 წლის 1 იანვრისათვის კი დაუმთავრებელმა მშენებლობამ ხუთი ობიექტის მიხედვით შეადგინა 7,360.1 ათასი ლარი. 2014 წლის 1 იანვართან შედარებით დაუმთავრებელი მშენებლობის ღირებულება გაზრდილია 4,866.3 ათასი ლარით.

დაუმთავრებელი მშენებლობა	1.01.2014	1.01.2015	1.01.2016
სგპ ლაგოდეხის პორტალი	-	-	967,088
ქ. თბილისი დიდი ლილო არქივის შენობა	2,216,567	2,216,567	2,324,101
სოფელი მარტყოფი თბილისის შემოსასვლელის 36კმ მეორე კორპუსი	277,133	3,480,105	3,480,105
სოფ ნინოწმინდა საავტომობილო სკანერის მართვის პულტის შენობა	-	168,726	368,509
სგპ ვალე სკანერის მართვის პულტის შენობა	-	-	220,254
სულ	2,493,700	5,865,398	7,360,057

აუდიტით დადგინდა, რომ დაუმთავრებელ მშენებლობის მუხლით აღრიცხულ რიგ ობიექტებზე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების დამთავრებისა და ფუნქციონირების მიუხედავად მათი ექსპლოატაციაში მიღება, ბუღალტრულად ძირითადი აქტივების შემადგენლობაში აღრიცხვა და შესაბამისი ნორმების გათვალისწინებით ცვეთის დარიცხვა არ განხორციელებულა.

რეკომენდაცია

მიზანშეწონილია გატარდეს ქმედითი ღონისძიებები მშენებლობადამთავრებული ობიექტების ექსპლოატაციაში მიღების, ბალანსის ძირითადი აქტივების შემადგენლობაში აღრიცხვისა და შესაბამისი ნორმების გათვალისწინებით ცვეთის დარიცხვის მიზნით.

ქვეყნის გარეთ მივლინება

2014 და 2015 წლებში ქვეყნის ფარგლებს გარეთ მივლინებებზე შემოსავლების სამსახურის მიერ გახარჯულია შესაბამისად 295.8 და 279.6 ათასი ლარი. სააუდიტო პერიოდში განხორციელებული 201 მივლინებიდან 2014 წლის 44 მივლინების შემთხვევაში,

წარმოდგენილი ვერ იქნა მივლინებასთან დაკავშირებული მიწვევის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.⁹⁹

რეკომენდაციები

- შესყიდული ძირითადი აქტივების სწორად აღრიცხვისა და შესაბამისი ცვეთის ნორმების მართებულად გამოყენების მიზნით მიზანშეწონილია, აქტივები რომლებიც თავისი ფუნქციური დანიშნულებისა და მომსახურების ვადებიდან გამომდინარე არ წარმოადგენენ შენობა-ნაგებობების განუყოფელ ნაწილს, შესყიდვა განხორციელდეს აღნიშნული აქტივების CPV კოდების შესაბამისად ცალ-ცალკე.
- მიზანშეწონილია გატარდეს ქმედითი ღონისძიებები მშენებლობადამთავრებული ობიექტების ექსპლოატაციაში მიღების, ბალანსის ძირითადი აქტივების შემადგენლობაში აღრიცხვისა და შესაბამისი ნორმების გათვალისწინებით ცვეთის დარიცხვის მიზნით.

წამყვანი აუდიტორი

მურმან დარახველიძე



უფროსი აუდიტორი

თენგიზ გურასაშვილი



უფროსი აუდიტორი

ლაშა ჭანტურიშვილი



უფროსი აუდიტორი

პაპუნა ხოფერია



აუდიტორი

გიორგი მშვილდაძე



აუდიტორი

გიორგი ჭოლოკავა



⁹⁹ სხვადასხვა ქვეყნებიდან და საერთაშორისო ორგანიზაციებიდან